

ცვლილება დამტკიცებულის

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის

აკადემიური საბჭოს სხდომაზე ოქმი №04

„10“ 04 2020წ.

რექტორი, პროფესორი:



სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, წარდგენისა და შეფასების

ინსტრუქცია

I. ზოგადი ნაწილი

1. სამაგისტრო ნაშრომი არის სამაგისტრო საკანმართლებლო პროგრამის შემადგენელი სამეცნიერო-კვლევითი ნაწილი, რომელსაც მაგისტრანტი ამზადებს სწავლის პერიოდში სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის ღრა სხდომაზე საჯარო დაცვისათვის.
2. ნაშრომი ასახავს მაგისტრანტის ცოდნის დონისა და მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევების შესაძლებლობას სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.
3. ნაშრომის დაცვაზე მაგისტრანტი დაიშვება სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებით გათვალისწინებული კრედიტების მოპოვების შემდგომ.
4. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ეფუძნება უნივერსიტეტი მოწევდ სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების წესებსა და სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულ კომპინენტებს.
5. მაგისტრანტს ენიშნება თემის ხელმძღვანელი ფაკულტეტის მიერ გამოყოფილი აკადემიური პერსონალიდან (დასამუშავებია მოწევული პერსონალიც, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია), თემის ხელმძღვანელს შეუძლია ერთდროულად უზელმძღვანელოს აქტიური სტატუსის მქონე არაუმეტეს 3 მაგისტრანტს.

II. სამაგისტრო ნაშრომის თემა

- 2.1. სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევა ხდება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების მიერ შეთავაზებული სავარაუდო თემების ჩამონათვალიდან, მაგისტრანტისა და თემის ხელმძღვანელის მოსაზრებათა შეჯერების საფუძველზე.

2.2. სამაგისტრო ნაშრომის თემა უნდა იყოს აქტუალური, კვლევათი ხასიათისა და უნდა შეესაბამებოდეს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალობისთვის აქტუალურ სამეცნიერო მიმართულებებს.

2.3. სამაგისტრო ნაშრომის თემათა ჩამონათვალს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

2.4. სამაგისტრო ნაშრომის დაზუსტებულ თემასა და სამეცნიერო ხელმძღვანელის, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ამტკიცებს რექტორი შესაბამისი ბრძანებით.

III. მაგისტრანტის ხელმძღვანელი

3.1. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დარგის შესაბამისი კუალიფიკაციის მქონე უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი. საკულევი თემის სპეციფიკის გათვალისწინებით, პრიორიტეტი შეიძლება მიენიჭოს ხელმძღვანელის სამეცნიერო და/ან პრაქტიკულ გამოცდილებას, ასევე მისი ხელმძღვანელობით ადრე შესრულებული თემების აქტუალურობასა და გამართულობას.

3.2. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

3.3. ხელმძღვანელი ვალდებულია:

ა. დაეხმაროს მაგისტრანტს თემის შერჩევაში, გეგმის შედგენასა ზიზლიოგრაფიის დაშუშავებაში;

ბ. პერიოდულად შეამოწმას თემაზე მუშაობის მიმდინარეობა, გამოთქვას შენიშვნები და გაუწიოს შესაბამისი კონსულტაციები;

გ. განუმარტოს მაგისტრანტს მისი უფლება-შოვალეობები და მოსთხოვოს მათი დაცვა;

დ. გაუწიოს კონსულტაციები მაგისტრანტს ინდივიდუალური გეგმის შედგენაში და აკონტროლოს მისი შესრულება.

ე. ნაშრომის დასრულების შემდეგ მოამზადოს წერილობითი დასკვნა, რომელშიც ასახული უნდა იყოს:

- ნაშრომის სათაური;
- მაგისტრანტის ვიზაობა;
- ნაშრომის მოკლე მიმოხილვა და მისი ძლიერი და სუსტი მხარეები;
- მაგისტრანტის შრომისუნარიანობა და სხვა უნარ-თვის სტებები;
- შრომის ზოგადი შესახებ (ნიშნის გარეშე);
- ნაშრომის შინაარსის შესაბამისობა სამაგისტრო სპეციალობასთან;
- დასკვნა, ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშეება-არდაშვების შესახებ.

3.4. ხელმძღვანელს უფლება აქვს უარი თქვას ხელმძღვანელობაზე. ამ შემთხვევაში მან გონივრულ ვადაში, წერილობით, სათანადო არგუმენტაციით უნდა მიმართოს

ფაკულტეტის საბჭოს, რომელიც განიხილავს უარის საფუძველს, აგრეთვე უარის განაცხადის ვადის გონივრულობას და დადებითი გადწყვეტილების მიღების შემთხვევაში ამტკიცებს ახალ ხელმძღვანელს.

3.5. თუ ფაკულტეტის საბჭო არ ეთანხმება ხელმძღვანელის უარის საფუძველს, ან/და უარის განაცხადის ვადა შეუძლებელს ხდის ახალი ხელმძღვანელის დანიშვნას და მის მიერ მოვალეობის შესრულებას, ხელმძღვანელი ვალდებულია გააგრძელოს და ვეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა.

IV . სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე წარდგენა

4.1. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან დასრულებული ნაშრომის წარდგენა ხდება მაგისტრანტის თემის ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნის საფუძველზე, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს ხელმოწერით და ფაკულტეტის ბეჭდით;

4.2. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს მაგისტრანტის მიერ შესრულებული ნაშრომის ანტიპლაგიატის სისტემაში შემოწმებას, „პლაგიატის აღმოჩენის და რეაგირების წესის“ შესაბამისად.

4.3. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის დადებითი შუამუგომლობის შემთხვევაში მაგისტრანტი დაიშვება ნაშრომის წინასწარ განხილვაზე კომისიის წინაშე; რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

4.4. სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი განხილვა აუცილებელი პირობაა ნაშრომის საჯაროდ დაცვისათვის;

V. რეცენზენტი

5.1. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი ნაშრომის თემის ხელმძღვანელთან ერთად გამოყოფს რეცენზენტს, რომელიც ფაკულტეტის საბჭოს ღადგენილებით.

5.2. რეცენზენტი შეიძლება იყოს, როგორც უნივერსიტეტის თანამშრომელი, ასუცე გარეშე პირი;

5.3. რეცენზენტი უნდა იყოს მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის სამეცნიერო (ან აკადემიური) ხარისხის მქონე პირი;

5.4. რეცენზენტი წერილობითი სახით ნაშრომის შესახებ წარმოადგენს რეცენზიას, შესაბამისი დასკვნით.

5.5. რეცენზიაში ასახული უნდა იყოს:

- ნაშრომის სათაური;
- მაგისტრანტის ვინაობა;
- ნაშრომის მიმოხილვა (მოცულობა, არქიტექტონიკა, ენა, გაფორმება და ა.შ.);
- ნაშრომის ძლიერი და სუსტი მსარეები შენიშვნებითა და რეცენზიდაციებითურთ;

- ნაშრომის შინაარსის შესაბამისობა სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნებთან;
- ნაშრომის ზოგადი შეფასება (ნიშნის გარეშე);
- რეცენზენტის პირადი დასკვნა აუტორისათვის სამაგისტრო ხარისხის მინიჭება - არ მინიჭების შესახებ.

5.6. რეცენზენტი ვალდებულია მაგისტრანტს გააცნოს თავისი შენიშვნები და დასკვნა ნაშრომის შესახებ არაუგვიანეს 3 დღით ადრე საჯარო დაცვამდე;

5.7. რეცენზენტის დასწრება საჯარო დაცვაზე არ არის სავალდებულო, თუმცა კომისიას ან მაგისტრანტს შეუძლია მისი მოწვევა და სხდომაზე დასწრება.

VI. ნაშრომის დაცვის პროცედურა

6.1. მაგისტრანტი შესრულებულ ნაშრომს წარუდგენს თემის ჟღვანილების რომელიც წაკითხვის შემდეგ თავისი შენიშვნებით (არსებობის შემთხვევაში) უბრუნებს ავტორს.

5.2. მაგისტრანტი ხელმძღვანელის შენიშვნების გათვალისწინებით აფორმებს ნაშრომის საბოლოო სახით და კვლავ გადასცემს თემის ხელმძღვანელს წერილობითი დასკვნის მისაღებად;

6.3. ნაშრომი, ხელმძღვანელის დასკვნასთან ერთად წარუდგინება სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს, რომლის დადგებითი შუამდგომლობის შემთხვევაში მაგისტრანტი დაიშვება ნაშრომის წინასწარ განხილვაზე. წინასწარი განხილვისათვის არ არის აუცილებელი ნაშრომის ავინძული სახით წარდგენა.

6.4. სრულყოფილად გაცემისული, აკონძული და ყდაში ჩასმული რეცენზირებული ნაშრომის ერთი ეგზემპლარი (ელექტრონულ ვერსიასთან ერთად), წარედგინება შესაბამის ფაკულტეტის სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიაზე საჯარო დაცვის მიზნით:

6.5. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი დასრულებულ სამაგისტრო ნაშრომის (ელექტრონულ ვერსიასთან ერთად), პლაგიატის არსებობაზე ამოწმებს საჯარო დაცვამდე არა უგვიანეს ერთი კვირისა.

6.6. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვა ტარდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიაზე, რომელიც იქმნება სამაგისტრო სპეციალობის შესაბამისი უნივერსიტეტის და მოწვეული სამეცნიერო (ან აკადემიური) ხარისხის შემთხვევაში სპეციალისტებისაგან.

6.7. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე შესაძლებელია მოწვეულ იქნენ შესაბამისი ორგანიზაციის წამყვანი სპეციალისტები (დამსაქმებლები).

6.8. კომისია უნდა შედგენიდეს სულ მცირე 3 წევრისაგან, კომისიის სხდომის მსვლელობასა და შედეგებზე დგება საბოლოო ოქმი.

6. ნაშრომის საჯარო დაცვა:

- 6.8.1. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანი საჯარო დაცვაზე დამსწრე საზოგადოებას აცნობს მაგისტრანტის პიოგრაფიას, აკადემიურ შედეგებს, სამაგისტრო თემის დასახელებას, ხელმძღვანელისა და რეკვენზენტის ვინაობას;
- 6.8.2. სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაციის რეგლამენტია - 15 წთ. მაგისტრანტი დაცვის კომისიის წინაშე აკეთებს 15-წუთიან პრეზენტაციას;
- 6.8.3. მაგისტრანტის მოხსენებაში მოკლედ უნდა იყოს ჩამოყალიბებული ნაშრომის მიზანი, ამოცანები, არსებული მოსაზრებები დასმული პრობლემების შესახებ, მისი ანალიზი, დასკვნები და მათი თეორიული და პრაქტიკული ღირებულებები;
- 6.8.4. მოხსენების პროცესში მაგისტრანტმა უნდა წარმოადგინოს 1:1 თანადონ გაფორმებული საილუსტრაციო მასალები ტექნიკური საშუალებების დახმარებით;
- 6.8.5. მაგისტრანტის მოხსენების დამთავრების შემდეგ კომისიის თავმჯდომარის წებართვით კომისიის წევრებს და შემდეგ დამსწრე საზოგადოებას შეუძლია მაგისტრანტს დაუსვას შეკითხვები. მაგისტრანტი ვალდებულია თანმიმდევრულად გასცეს პასუხი თითოეულ შეკითხვას;
- 6.8.6. შემდეგ სიტყვა ეძლევა რეცენზენტს (თუ ის ესწრება სადომას), ან რეცენზიას კითხულობს კომისიის მდივანი. მაგისტრანტი პასუხობს რეცენზენტის მიერ გამოთქმულ შენიშვნებზე;
- 6.8.7. შემდეგ სიტყვა ეძლევა მაგისტრანტის ხელმძღვანელს. რომელიც ახასიათებს მაგისტრანტს.
- 6.8.8. მაგისტრანტის ხელმძღვანელის სიტყვის შემდგომ, საჯარო დაცვის კომისიის წევრები მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად მსჯელობენ წარმოდგენილი ნაშრომის შესახებ.
- 6.8.9. მაგისტრანტს ეძლევა დასკვნითი სიტყვა. ამით სამაგისტრო ნაშრომის დაცვა დამთავრებულია.

VII. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

7.1. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით:

- ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი (91-100 ქულა);
- მაღისან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება (81-90 ქულა);
- კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება (71-80 ქულა);
- საშუალო (*bene*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს კორელირებულ აქტივოფილებს (61-70 ქულა);
- დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების შიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აქმაყოფილებს (51-60 ქულა);
- არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს

მნიშვნელოვანი ხარვეზების, გამო ვერ აკმაყოფილებს (41-50 ქულა);

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canonie*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს (0-40 ქულა).

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ქულა გამოითვლება კომისიის წევრთა მიერ დაწერილ ქულათა საშუალო არითმეტიკულის მეშევრით.

სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვა (ტარდება მე-21 კვირას) ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ნაშრომის აგებულება -5 ქულა;
- დასახული მიზნებისა და კვლევის მეთოდების ურთიერთესაბამისობა-15 ქულა;
- გამოყენებული წყაროების მრავალფეროვნება და ვალიდურობა-10 ქულა;
- ციტირების ტექნიკა-5 ქულა;
- პრეზენტაციის ტექნიკა და ტექნოლოგია -5 ქულა;
- თემის აქტუალობა და წარმოჩენა -15 ქულა;
- მსჯელობისა და კრიტიკული ანალიზის უნარი-15 ქულა;
- დასკვნები და რეკომენდაციები -10 ქულა;
- კვლევის დაგეგმვა და განხორციელება -15 ქულა;
- რეგლამენტის დაცვა-5 ქულა.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შეფასება

სამაგისტრო ნაშრომის აგებულება ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით.

კომისიის თაობებული წევრი აფასებს ნაშრომის შემდეგი კრიტერიუმები

5 ქულა- ნაშრომის აგებულება შეესაბამება სტანდარტს, სრულყოფილადაც დაცვილი აკადემიური სტილი, პარაგრაფების, თავების, ქვეთავები დასათაურება სრულად სესანაშება შინაარს გამოყენებული ლიტერატურის მითითება კორექტულია.

4 ქულა - ნაშრომის აგებულება შეესაბამება სტანდარტს, დაცვულია აკადემიური სტილი, პარაგრაფების დასათაურება სრულად შეესაბამება შინაარს, გამოყენებული ლიტერატურის მითითება მირითადად კორექტულია.

3 ქულა- გაფორმების ენა და სტილი ძირითადად კორექტულია, პარაგრაფების დასათაურების შესაბამისობა შინაარსთან დამაკამაყოფილებულია. გამოყენებული ლიტერატურის მითითება პარითადად კორექტულია.

2 ქულა - გაფორმების ენა და სტილი ნაწილობრივ კორექტულია, პარაგრაფების დასათაურების შესაბამისობა შინაარსთან არადამაკმაყოფილებულია. გამოყენებული ლიტერატურის მითითება მნიშვნელოვნების კორექტულია.

1 ქულა - გაფორმების ენა და სტილი შეიცავს მრავლობით შეცდომებს, პარაგრაფების დასათაურება არალიკურია, გამოყენებული ლიტერატურის მითითება არაკორექტულია.

0 ქულა - ნაშრომის გაფორმება ვერ აკმაყოფილებს არსებულ მომხოვნებს

კომისიის წევრი #1	კომისიის წევრი #2	კომისიის წევრი #3	კომისიის წევრი #4	კომისიის წევრი #5	ჯამი
-------------------	-------------------	-------------------	-------------------	-------------------	------

<p style="text-align: center;">დასახული მიზნებისა და კვლევის შეთოდების ურთიერთშესაბამისობა მაქსიმუმ 15 ქულით კომისიის თითოეული წევრი აფასებს ნაშრომს შემდეგი კატეგორიულით</p>					
<p>15-13 ქულა - საკულტურით თემის აქტუალობა მეცნიერებადა ჩამოყალიბებული, წარმოდგენილი მიზნები, დასკვნები ნათლად არის დაკავშირებული საკვლევ საკითხებთან, შერჩეულია პრობლემის შესაბამისი, უახლესი კვლევის შეთოდები და მიღება, მათი გამოყენების მიზანშეწონილობა დასახურებულია</p>					
<p>12-10 ქულა - წარმოდგენილი მიზნები, დასკვნები ნათლად არის დაკავშირებული საკულევ საკითხებთან, შერჩეულია პრობლემის შესაბამისი, უახლესი კვლევის შეთოდები და მიღება, მათი გამოყენების მიზანშეწონილობა არ არის დასახურებული სრულყოფილია</p>					
<p>9-7 ქულა - წარმოდგენილი მიზნების დიდი ნაწილი კარგად არის დაკავშირებული საკვლევ საკითხებთან, შერჩეული კვლევის შეთოდები და მიღება უზრუნველყოფს კონკრეტული შედეგების მიღებას, თუმცა არ არის თანამედროვე, მათი გამოყენების მიზანშეწონილობა კარგად არის დასახურებული</p>					
<p>6-3 ქულა - წარმოდგენილი მიზნები დაკავშირებული კვლევის საკითხებთან, შერჩეული კვლევის შეთოდები და მიღება უზრუნველყოფს კონკრეტული შედეგების მიღებას, თუმცა არ არის თანამედროვე, მათი გამოყენების მიზანშეწონილობა სუსტად არის დასახურებული</p>					
<p>2-1 ქულა - წარმოდგენილი მიზნები ნაწილობრივ პასუხისმა ნაშრომში დასტური კითხებს, შერჩეული კვლევის შეთოდები და მიღება მოვლებულია ან შეიძლოდ ნაწილობრივ არის პრიზ დების ადექტური, ვერ უზრუნველყოფს კონკრეტული შედეგების მიღებას, მათი გამოყენების მიზანშეწონილობა არ არის დასახურებული</p>					
<p>0 ქულა - მიზნები გაუგებარია, შერჩეული კვლევის შეთოდები და მიღება არ არის პრიზ დების ადექტური, ვერ უზრუნველყოფს კონკრეტული შედეგების მიღებას.</p>					
კომისიის წევრი #1	კომისიის წევრი #2	კომისიის წევრი #3	კომისიის წევრი #4	კომისიის წევრი #5	ჯამი
<p style="text-align: center;">გამოყენებული წყაროების მრავალუროვნება და ვალიდურობა ფასდება მაქსიმუმ 10 ქულით კომისიის თითოეული წევრი აფასებს ნაშრომს შემდეგი კატეგორიულით</p>					
<p>10-9 ქულა - წყაროები, საკულტურით თემატიკის რელევანტურია, უახლესია და წარმოდგენის მაღალი დონის სამეცნიერო ორიგინალური (მათ შორის, უცხოუროვანი) პუბლიკაციებს და სპეციალიზებულ მოწოდევული მოწოდევული დონის კლინიკური წყაროებისადმი კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის უნარი.</p>					
<p>8-7 ქულა - წყაროები საკულტურით თემატიკის რელევანტურია, ახალია და, იშვიათი გამონაკლისის გარდა, წარმოადგენს რეფლიკირებად სამეცნიერო პუბლიკაციებსა და სპეციალიზებულ მოწოდევული დონის კლინიკური წყაროებისადმი კრიტიკული მიღებამა და მათი სინთეზის უნარი.</p>					
<p>6-5 ქულა - წყაროები თემატიკის რელევანტურია, მათი დიდი ნაწილი წარმოადგენს დაბალი საშეცნიერო ხარისხის ჟუმლიკაციებსა და სასწავლო სახელმწიფო ნებამობების, საკმარისად ვლინდება წყაროებისადმი კრიტიკული მიღებამა და მათი სინთეზის უნარი.</p>					
<p>4-3 ქულა - წყაროები შერჩეულია თემატიკის შესაბამისად, მცირე რაოდენობით პრივატუს საშეცნიერო პუბლიკაციებს, ნაწილობრივ ვლინდება წყაროებისადმი კრიტიკული მიღებამა და მათი სინთეზის უნარი.</p>					
<p>2-1 ქულა - გამოყენებული წყაროების სია მწირია, შეიძლოდ ნაწილობრივ შეესაბამება კვლევის თემატიკას, თითქმის არ მოიცავს სამეცნიერო პუბლიკაციებს, ვერ ვლინდება გამოყენებული წყაროების სინთეზის უნარი.</p>					
<p>0 ქულა - გამოყენებული წყაროები არ არის წარმოდგენილი ან წყაროები არ შეესაბამება კვლევის თემატიკას</p>					
კომისიის წევრი #1	კომისიის წევრი #2	კომისიის წევრი #3	კომისიის წევრი #4	კომისიის წევრი #5	ჯამი
<p style="text-align: center;">ტიტორების ტექნიკა-ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით კომისიის თითოეული წევრი აფასებს ნაშრომს შემდეგი კატეგორიულით</p>					
<p>5 ქულა - გამოყენებული მასალა (მათ შორის, უცხოუროვანი) რელევანტურია და წარმოადგენილია მხოლოდ რეფლიკირებადი პუბლიკაციებით და სპეციალიზებული მოწოდევული დონის (არ არის გამოყენებული სასწავლო</p>					

სახელმძღვანელოები), ციტირების ინდექსი მაღალია.

4 ქულა - გამოყენებული მასალა რელევანტურია და მისი მიზანია წარმოდგენილია რეფურიზებადი პუბლიკაციებით და სპეციალიზებული მონოგრაფიებით (რიგ შემთხვევებში გამოყენებულია სასწავლო სახელმძღვანელოები). - ციტირების ინდექსი კარგია.

3 ქულა - გამოყენებული მასალის მიმმართ წარმოდგენილია რეფურიზებადი პუბლიკაციებით და სპეციალიზებული მონოგრაფიებით, ამასთან ერთად გამოყენებულია დაბალი ხარისხის პუბლიკაციები და სასწავლო სახელმძღვანელოები, რიგ შემთხვევებში რელევანტურის ხარისხი დაბალია, კიბირუების ინდექსი დაბალია,

2 ქულა - გამოყენებული მასალის მთლიანი მეტიზე წარმოდგენილი რეფურიზებადი პუბლიკაციებით და სპეციალიზებული მონოგრაფიებით, მინიმუმი მიმმართ წარმოდგენილია დაბალი ხარისხის პუბლიკაციებით და სასწავლო სახელმძღვანელოებით, ხშირ შემთხვევებში რელევანტურობის ხარისხი დაბალია, ციტირების ინდექსი დაბალია.

1 ქულა - გამოყენებული მასალა წარმოდგენილია დაბალი ხარისხის პუბლიკაციით და სასწავლო სახელმძღვანელოებით, ხშირ შემთხვევებში რელევანტურობის ხარისხი დაბალია, ციტირების ინდექსი დაბალია.

0 ქულა - გამოყენებული მასალა არ არის რელევანტური

კომისიის წევრი #1	კომისიის წევრი #2	კომისიის წევრი #3	კომისიის წევრი #4	კომისიის წევრი #5	ჯამი
-------------------	-------------------	-------------------	-------------------	-------------------	------

**პრეზენტაციის ტექნიკა და ტექნოლოგია ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით
კომისიის თავოებული წევრი აუსახს ნაშრობს შემდეგი კატეგორიებით**

5 ქულა - პრეზენტაცია მაღალ დონეზეა შესრულებული, გამოყენებული ტექნოლოგიები მასუბობს სტანდარტებს, საკითხის კვლევის ისტორია მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, ხილობისეულია და განალიზირებული და შეფასებული.

4 ქულა - პრეზენტაცია კარგად არის შესრულებული, გამოყენებული ტექნოლოგიები მასუბობს სტანდარტებს, საკითხის კვლევის ისტორია კარგად არის ჩამოყალიბებული, განალიზებასა და შეფასებას აკლია სიღრმისეულობა.

3 ქულა - პრეზენტაცია დამაკმაყოფილებულია და არის შესრულებული, გამოყენებული ტექნოლოგიები წარმომარცვებული მასუბობს სტანდარტებს, საკითხის კვლევის ისტორია დამაკმაყოფილებულია და არის ჩამოყალიბებული, არ არის განალიზებული და შეფასებული

2 ქულა - პრეზენტაცია არაკალიფიცირებულია და არის შესრულებული, საკითხის კვლევის ისტორია ზედაპირულად არის ჩამოყალიბებული, არ არის განალიზებული და შეფასებული.

1 ქულა - პრეზენტაცია ცუდად არის შესრულებული, დაშეცმებულია შედეგობები, საკითხის კვლევის ისტორია არაკალიფიცირებულად არის ჩამოყალიბებული, არ არის განალიზებული და შეფასებული

0 ქულა - პრეზენტაცია არ არის შესრულებული, საკითხის კვლევის ისტორია არ არის წარმოდგენილი.

კომისიის წევრი #1	კომისიის წევრი #2	კომისიის წევრი #3	კომისიის წევრი #4	კომისიის წევრი #5	ჯამი
-------------------	-------------------	-------------------	-------------------	-------------------	------

თემის აქტუალობა და წარმოჩენა - ფასდება მაქსიმუმ 15 ქულა;
კომისიის თავოებული წევრი აუსახს ნაშრობს შემდეგი კატეგორიებით

15-13 ქულა - თემა თანამედროვეა, ინოვაციურია, საკვლევი თემის აქტუალობა ძვალით და ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული, შესაბამისი განახლების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და კვლევის შედეგებს აქვს განსაკუთრებული თემისული და პრაქტიკული მიმმენებლობა.

12-10 ქულა - თემა თანამედროვეა, საკვლევი თემის აქტუალობა ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული, მაგრამ აკლია სიცხადე, შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და კვლევის შედეგებს აქვს გარკვეული პრაქტიკული მიმმენებლობა

9-7 ქულა - თემა წაკლებად აქტუალურია, საკვლევი თემის აქტუალობა ფორმულირებულია, მაგრამ სიცხადე არ არის გათვალისწინებული კონტენტუალური ფაქტორები, შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან

6-3 ქულა - საკვლევი თემის აქტუალობა ზედაპირულად და არარეგულირებულადაა ჩამოყალიბებული,

შესაბამისობაშია საგანმანათლებლით პროგრამის მიზნებთან

2-1 ქულა - საკულტო თემის აქტუალობაზე ფინანსურირებულია არაკვალიფიციურად, კონტენტულური

ფაქტორების გაუთვალისწინებლად, ირიბად უკავშირდება საგანმანათლებლით პროგრამის მიზნებს

0 ქულა - საკულტო თემის აქტუალობა არ არის ფინანსურირებულია და არ შეესახმება საგანმანათლებლით პროგრამის მიზნებს

კომისიის წევრი #1	კომისიის წევრი #2	კომისიის წევრი #3	კომისიის წევრი #4	კომისიის წევრი #5	ჯამი

მსჯელობისა და კრიტიკული ანალიზის უნარი-ფასდება მაქსიმუმ 15 ქულით.

კომისიის თათვეული წევრი აფასებს ნამრთობის შემდეგი კრიტიკულით

15-13 ქულა - ტერმინოლოგიის უღიძის სრულყოფილია, დისკუსიაში მომატილობა არის ეფუძული, ხოლო მსჯელობა თანამიმდევრულია. თემის შესახებ ინფორმაცია გადმინიჭებულია ამი: წერტილურად.

12-10 ქულა - ტერმინოლოგიის ფლობა სრულია, დისკუსიაში მონაცილეობა და მსჯელობა თანამიმდევრულია, თემის შესახებ ინფორმაცია გადმინიჭებულია სრულად, მაგრამ არამატიტურავად.

9-7 ქულა - საკმარისად ფლობას პროფესიულ ტერმინოლოგიას, დისკუსიაში მონაცილეობა და მსჯელობა ნაკლებად თანამიმდევრულია, თემის შინაარსი დამაკმაყოფილებელია არის გადმოცემული.

6-3 ქულა - მსჯელობა არასრული და არადამაჯერებულია. თემის შინაარსი არა დამაკმაყოფილებელად არის გადმოცემული.

2-1 ქულა - მსჯელობა ნაკლოვანია და ურაგმენტული, ვერ ასახავს წარმოდგენილ თემის შინაარს

0 ქულა - სტრუქტურული ვერ შემლო თემის დაცვა. მსჯელობა საკითხის შესაბამის არ არის.

კომისიის წევრი #1	კომისიის წევრი #2	კომისიის წევრი #3	კომისიის წევრი #4	კომისიის წევრი #5	ჯამი
ყველა კომისიონერის ჯამი					

დასკვნები და რეკომენდაციები-ფასდება მაქსიმუმ 10 ქულით.

კომისიის თათვეული წევრი აფასებს ნამრთობის შექმნები კრიტიკულით

10-9 ქულა - მიღებულია ორიგინალური და საინტერესო შედეგები, კვლევის მიზნები სრულად არის მიღწეული, განხილულებულია ცოდნისა და კვლევის შედეგების ინოვაციური სინთეზი, დასკვნები პროფესიონალურია და ჩამოყალიბებულია კვლევის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე

8-7 ქულა - მიღებულია ახალი შედეგები, კვლევის მიზნები მიღწეულია, განხილულებულია ცოდნისა და კვლევის შედეგების კარგი სინთეზი, დასკვნები ჩამოყალიბებულია ნათლად და დასაბუთებულია ლიტერატური აღიუმენტურით, ნაშრომის სუსტი და ძლიერი მხარეები არ არის შესვასებული პრიტკულად.

6-5 ქულა - მიღებული შედეგებით კვლევის შეზრდა მირითადად მიღწეულია, ცოდნისა და კვლევის შედეგების სინთეზი განხორციელებულია დამაკმაყოფილებლად, დასკვნები ჩამოყალიბებულია დამაჯერებლად, მაგრამ საჭიროებს დახვეწის, ნაშრომის სუსტი და ძლიერი მხარეები შექასებულია შეცვალირებულად.

4-3 ქულა - მიღებული შედეგებით მიღწეულია კვლევის მიზნების მხოლოდ მეცნიერებული, ცოდნისა და კვლევის შედეგების სინთეზი განხორციელებულია ფრაგმენტულად და მოიცავს დაუმთავრებელ ნაწილებს, დასკვნები ზედაპირულია.

2-1 ქულა - კვლევის მიზნები არ არის მიღწეული, მსჯელობა ავდენილია შედეგებს, დასკვნები სუსტია და ზედაპირულია, ნაშრომის ერთიგული შეფასება არ არის წარმოდგენილი ან ზედაპირულია.

0 ქულა - კვლევის მიზნები არ არის მიღწეული, დასკვნები არადავვალურია.

კომისიის წევრი #1	კომისიის წევრი #2	კომისიის წევრი #3	კომისიის წევრი #4	კომისიის წევრი #5	ჯამი
ყველა კომისიონერის ჯამი					

კვლევის დაგეგმვა და განხორციელება-ფასდება მაქსიმუმ 15 ქულით.

კომისიის თაოთვეული წევრი აფასებს ნაშრომს შემდეგი კი უტერიუმით

15-13 ქულა - დამოუკიდებლად დაგვეგმა და განახორციელა კვლევა გეგმის შესაბამისად, გამოავლინა მაღალი პასუხისმგებლობა, ყველა შეთანხმება ხელმძღვანელთან შეასრულა სრულად და დოკუმენტით.

12-10 ქულა - დამოუკიდებლად დაგვეგმა და განახორციელა კვლევა გეგმის შესაბამისად, კვლევის გეგმის შესრულება უმინიშვნელოდ დაირღვა (სასატიო მიზანის გარეშე), გამოავლინა სკორისი პასუხისმგებლობა, ყველა შეთანხმება ხელმძღვანელთან შეასრულა სრულად, თუმცა რიგ შემთხვევაში შეთანხმების ვადების დარღვევით.

9-7 ქულა - მცირე დახმარებით დაგვეგმა და განახორციელა კვლევა: გეგმასთან შესაბამისობა უმნიშვნელოდ დაირღვა (სასატიო მიზანის გარეშე), გამოავლინა დამაკამაყოფელებით პასუხისმგებლობა, ხელმძღვანელთან შეთანხმებული საკითხების ძირითადი ნაწილი შეასრულა სრულად.

6-3 ქულა - მნიშვნელოვანი დახმარებით დაგვეგმა და განახორციელა კვლევა: გეგმასთან შესაბამისობა არსებითად დაირღვა (სასატიო მიზანის გარეშე), გამოავლინა დამაკამაყოფელებით პასუხისმგებლობა, ხელმძღვანელთან შეთანხმებული საკითხების შეოღული მცირე ნაწილი შეასრულა სრულად.

2-1- ქულა - მნიშვნელოვანი დახმარებით დაგვეგმა და განახორციელა კვლევა: გეგმასთან შესაბამისობა არსებითად დაირღვა (სასატიო მიზანის გარეშე), გამოავლინა მწირი პასუხისმგებლობა, ხელმძღვანელთან შეთანხმებული საკითხები ვერ შეასრულა სრულად.

0 ქულა - ვერ განახორციელა კვლევის დაგვეგმა და მისი განახორციელება, გამოავლინა უპასუხისმგებლობა.

კომისიის წევრი #1	კომისიის წევრი #2	კომისიის წევრი #3	კომისიის წევრი #4	კომისიის წევრი #5	ჯამი
ყველა კომპონენტის ჯამი					

რეგლამენტის დაცვა --ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით.

კომისიის თაოთვეული წევრი აფასებს ნაშრომს შემდეგი კი უტერიუმით

5 ქულა - ზუსტად იცავს პრეზენტაციისთვის განსაზღვრულ დროის ღიმიტს, არ არღვევს რეგლამენტს

4 ქულა - იცავს პრეზენტაციისთვის განსაზღვრულ დროის ღიმიტს, უმნიშვნელოდ არღვევს პრეზენტაციისთვის განსაზღვრულ რეგლამენტს

3 ქულა - იცავს პრეზენტაციისთვის განსაზღვრულ დროის ღიმიტს, ნაწილობრივ არღვევს პრეზენტაციისთვის განსაზღვრულ დროის რეგლამენტს

2 ქულა -- იცავს პრეზენტაციისთვის განსაზღვრულ დროში, არღვევს რეგლამენტს

1- ქულა - ვერ აცილავ პრეზენტაციისთვის გამოყოფილი დროში, არღვევს რეგლამენტს

0 ქულა - ვერ იცავს პრეზენტაციისთვის განსაზღვრულ რეგლამენტს.

კომისიის წევრი #1	კომისიის წევრი #2	კომისიის წევრი #3	კომისიის წევრი #4	კომისიის წევრი #5	ჯამი
ყველა კომპონენტის ჯამი					

7.2. სამაგისტრო ნაშრომი მაგისტრანტს შესრულებულად ჩაეთვლება, თუ შეფასებისას დააგროვებს 51 და მეტ ქულას.

7. 3. სამაგისტრო ნაშრომის 41-50 ქულით შეფასების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომის წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.

7.4. სამაგისტრო ნაშრომის 0-40 ქულით შეფასების შემთხვევაში მაკისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას. მას ენიჭება უფლება შეარჩიოს ახალი თემა და ხელმძღვანელი და სამაგისტრო ნაშრომი დაცულს კომისიის წინაშე შემდეგ სასწავლია წელს.

7.5. სამაგისტრო ნაშრომის დაცემის კომისიის წევრები ეალდებულნი არიან ბოლომდე დაესწრონ სამაგისტრო ნაშრომების დაცვებს, აქტიურად მონაწილეობდნენ კამათში, დაცვების დამთავრების შემთხვევაში კომისიის დახურულ სახდომისზე შეაჯამონ და უი კენჭისყრით შეაფასონ თითოეული სამაგისტრო ნაშრომი.

7.6. კომისია ადგენს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ოქმს და ღებულობს საბოლოო გადაწყვეტილებას კურსდამთავრებულისათვის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე . ოქმის თან უნდა ერთვოდეს რეცენზიები და კომისიის შეირ დაწერილი საბოლოო შეფასების უწყისი, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები.

7.7. კომისიის დადებითი გადაწყვეტილება არის საუსურელი კურსდამთავრებულზე მაგისტრის დიპლომის გაცემისათვის;

7.8. უნივერსიტეტის მაგისტრის დიპლომი წარმოადგენს მოქმედი სტანდარტების დაცვით გაფორმებულ დოკუმენტს. რომელიც ადასტურებს საქართველოში უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის – მაგისტრატურის დამთავრებას.

7.9. კურსდამთავრებულზე მაგისტრის დიპლომთან ერთად გაიცემა დიპლომის დანართი, რომელიც შევსებულია მოქმედი წესების დაცვით.

7.10. ნაშრომის დაცვის შედეგების მიმართ პრეტენზიის მქონე კურსდამთავრებული უფლებამოსილია, გააკეთოს წერითი განაცხადი იქე, შედეგების გამოცხადებისთანავე და შეხვდეს კომისიას მისთვის მიუღებელი შედეგის გასარცვევად.

7.11. თუ მაგისტრანტი დადგენილ ვადაში ვერ წარსდგება სამაგისტრო ნაშრომის დასაცავად კომისიის წინაშე, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია დროულად განიხილოს ყოველი ასეთი შემთხვევა და შესაბამისი რეკომენდაციით წარდგეს ფაულტეტის საბჭოს წინაშე ადევატური გადაწყვეტილების მისაღებად.

VIII. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება

8.1. სამაგისტრო ნაშრომის აქცის სტრუქტურა, რომელიც თემატიკის შესაბამისად შედგენილია მეცნიერ - ხელმძღვანელთან ერთად და მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

8.1.1. სატიტულო გვერდი ანუ თავფურცელი, რომელიც ფორმდება განსაზღვრული წესების დაცვითგვერდის ზემოთ ნაწილში მიეთითება უმაღლესი სასწავლებლის დასახელება - შპს სასწავლო უნივერსიტეტი კულტური). მისგან 2-3 სმ-ის ქვეშოთ იწერება მაგისტრანტის სახელი და გვარი სრულად სახელობით მრანენაში. გვერდის შუა ნაწილში იწერება სამაგისტრო ნაშრომის თემის დასახელება 16-იანი ზომის შრიფტით. შემდეგ იწერება, სამაგისტრო სპეციალობის დასახელება და მაგისტრის საძიებელი ხარისხი, რომლის მოსაპოვებლად არის წარდგენილი დასაცავად ნაშრომი. შემდეგ, თავფურცელის მარჯვენა მხარესთან ახლოს მიეთითება მეცნიერ - ხელმძღვანელის სახელი და გვარი, სამეცნიერო ხარისხი და აკადემიური

თანამდებობა. ქვემოთ იწერება ნაშრომის შესრულების ადგილი(ანუ ქალაქი) და მისი წარდგენის წელი (იხ. დანართები 1ა და 1ბ).

8.1.2. ანოტაცია – არაუმეტეს ნახევარი გვერდისა და არანაკლებ 150 სიტყვისა, რომელიც მოკლედასახავს თემის აქტუალობას, მიზანს და მირითად სიახლეებს. ანოტაცია უნდა იყოს დაწერილი ქართულ ენაზე. ანოტაციები განთავსდება ერთ გვერდზე და აიკინძება თავფურცელის მომდევნო გვერდზე.

8.1.3. სარჩევი ანუ შინაარსი – რომელშიც თანმიმდევრულად ასახულია ნაშრომის ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტი დასახელება, მათი დასაწერისი გვერდების ნომრის მითითებით მარჯვენა მხარეს.

8.1.4. შესავალი – წარმოადგენს ნაშრომის ზოგად ნაწილს, სადაც არაუმეტეს 2-3 გვერდზე დასაბუთებულია თემის აქტუალობა, კვლევის მიზანი და ამოცანები განსაზღვრულია კვლევის საგანი და ობიექტი, კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

8.1.5. მირითადი ტექსტი, რომელიც იყოფა თავებად, თავები კი – პარაგრაფებად. თავებისა და პარაგრაფების დასათაურება ხდება მეტი ხელმძღვანელთან ერთად თემატიკის შინაარსის გათვალისწინებით.

8.1.6. დასკვნა – წარმოადგენს ნაშრომის კვლევის მირითადი შედეგების ამსახველ ნაწილს, რომელიც მოკლედ და კონკრეტულად მასუბობს ყველა იმ ამოცანას, რომელიც მაგისტრანტს გააქვს საჯარო დაცვაზე.

8.1.7. გამოყენებული ლიტერატურა – ლიტერატურის ჩამონათვალი, რომელიც განსაზღვრული წესების დაცვით ფორმდება.

8.1.8. დასრულებული სამაგისტრო ნაშრომის ყველა ნაწილი უნდა აიკინძოს ყდაში შემდეგი თანმიმდევრობით: თავფურცელი – ანოტაცია – სარჩევი – შესავალი – თავები (მირითადი შინაარსი) – დასკვნა – გამოყენებული ლიტერატურა – დანართები.

8.2. საატესტაციო კომისიის წინაშე დასაცავად წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ფორმალურ მოთხოვების:

8.2.1. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს არა ნაკლებ 50 გვერდი, რაოდენობაში იგულისხმება ყველა აკინძული გვერდი;

8.2.2. ნაშრომი იბეჭდება A4 ზომის ფურცელზე, სილფანში, 12-იანი შრიფტით, სათაურებისა და ქვესათაურების ზომა 16-14; სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5 ინტერვალი, ტექსტის გასწორება – მთელ სიგანეზე, ამზადის პირეელი სტრიქონის შეწყვა – 1,27 (5 ინტერვალზე). გვერდის ველები 3,0 სმ– მარცხნიდან, 1,60სმ. – ზემოდან, ქვემოდან და მარჯვნიდან.

8.3. სამაგისტრო ნაშრომი სრულდება ქართულ ენაზე ორთოგრაფიული და სტილისტური ნორმების დაცვით.

8.4. ნაშრომის ყველა გვერდი უნდა იქნას დანომრილი თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სიცერცის ან გვერდის დატოვება, გვერდების განმეორება. თითოეული გვერდი ინომრება ქვედა შარჯვენა კიდეში არაბული ციფრებით, ზომა 10. გვერდის ნომერი ფურცლის ქვედა კადეზე დაშორებული უნდა იყოს 1,3 სმ-ით, ხოლო მარჯვენა კიდედან 2,0 სმ-ით. სატიტულო ფურცელი არ ინომრება, მაგრამ ჩაითვლება ნაშრომის საერთო რაოდენობაში.

8.5. ნაშრომის ყველა თავის და ქვეთავის დასახელება ჩართული უნდა იყოს სარჩევში. ყველა თავი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავი უნდა გაგრძელდეს იმავე გვერდიდან.

8.6. ნაშრომის სტრუქტურული ელემენტები („სარჩევი”, „შესავალი”, „დასკვნა”, „გამოყენებული ლიტერატურა”, „დანართები” და სხვა) და ცალკული თავების სათაურები იწერება (ზომა 14) სტრიქონის შეს ნაწილში – წერტილის და ხაზგასმის გარეშე. მანძილი სათაურსა და ტექსტს შორის, მირითად სათაურსა და ქვესათაურს მორის განისაზღვრება 1,5 ინტერვალით.

8.7. ნაშრომის თავები, პარაგრაფები და ქვეპუნქტები ინომრება არაბული ციფრებით. ნაშრომის მირითადნაწილში თავები ინომრება მიმდევრობით; არაბული ციფრებით, წერტილით. პარაგრაფებისა და ქვეპუნქტების დანომვრა ხდება არაბული ციფრების კომბინაციით (მაგ: 1.2. ნიშნავს პირველი თავისმეორე პარაგრაფს და ა.შ.) საჭიროების შემთხვევაში შემდეგი ციფრი წერტილით განისაზღვრავს ქვეპუნქტის ნომერს.

8.8. თუ ნაშრომის ტექსტში გამოყენებულია სიტყვების ან წინადაღებების შემოკლება, მაშინ გამოყენებული უნდა იყოს. მიღებული შემოკლების ჩამონათვალი, ან გაძიფრული იქნეს უშუალო ტექსტში პირველი გამოყენების შემდეგ და ჩაწერილი ფრჩხილები.

8.9. სამაგისტრო ნაშრომში აუკილებელია გამოყენებული ლიტერატურული წყაროების მითითება. გამოყენებული ლიტერატურის ციტირება უნდა მოხდეს მირითად ტექსტში (ციტატის ბოლოს) კეთილგანვითარებული ფრჩხილებში არაბული ციფრებით (მაგ: [7.13-14] ნიშნავს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალში 7-ე დასახელების წყაროს, 13-14 გვერდებს).

8.10. გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი განთავსდება ნაშრომის პილის ანდანურითანმი მდევრობით. ჯერ იწერება ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ უცხოურ ენებზე გამოცემული წყაროები. მათი ჩამონათვალი უნდა მოხდეს შემდეგი წესების დაცვით:

8.10.1. წიგნის ან მონოგრაფიის მითითებისას საჭიროა დასახელდეს:

- ავტორ(ები)ის გვარი და ინიციალები;
- წიგნის დასახელება;
- გამოცემის ქალაქი;
- გამოცემის წელი;
- გვერდების საერთო რაოდენობა;

8.10.2. სამეცნიერო სტატიის მითითებისას ავტორ(ები)ის

- გვარი და ინიციალები;

- სტატიის სათაური;
- უკრნალის ამრევიატურა;
- გამოცემის წელი;
- ტომი;
- ნომერი;
- სტატიის საწყისი და ბოლო გვერდები.

8.10.3. ინტერნეტ მასალების გამოყენების შემთხვევაში:

- მასალის ავტორი;
- ვებ-გვერდის ავტორი;
- მასალის დასახელება ლინკის მონიშვნებით;
- ვებ-გვერდის მისამართი;
- მასალის მოძიების თარიღი.

8.10.4. სამთავრობო და წორმატიული დოკუმენტების გამოყენების შემთხვევაში:

- ქვეყნის დასახელება;
- უწყების დასახელება, რომელსაც დოკუმენტი ეკუთვნის;
- წელი იმ გამოცემისა, რომელშიც მოძიებული იქნა მითითებული დოკუმენტი;
- დოკუმენტის სახე (ტრანსლიტერაცია, ინსტრუქცია, კანონი);
- დოკუმენტის დასახელება შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომრისა და წლის მინიჭებით;
- ადგილი იმ გამოცემისა, რომელშიც მოძიებული იქნა მითითებული დოკუმენტი;
- გამოცემის დასახელება, რომელშიც მოძიებული იქნა მითითებული დოკუმენტი.

IX. სამაგისტრო ნაშრომის შერჩევის, შესრულების, წინასწარი განხილვის, რეცენზირების და დაცვის ვადები

9.1. სამაგისტრო ნაშრომის თემების ნუსხას ფაკულტეტი ამტკიცებს ფაკულტეტის სამჭოზე - მე-4 სემესტრის დაწყებამდე.

9.2. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დასრულება და ნაშრომის :ნტიპლაგიატის სისტემაში შემოწმება - IV სემესტრის მე-17 კვირა;

9.3. სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი განხილვა - IV სემესტრის მე-18 კვირა;

9.4. რეცენზიის წარმოდგენა - IV სემესტრის მე-20 კვირა;

9.5. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვა - IV სემესტრის მე-21 კვირა.